N226 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამის დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი - „15. მინერალური პროდუქტები“:

„15. მინერალური პროდუქტები

15.1. მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
მარილი (სუფრისა და დენატურირებული მარილის ჩათვლით) და ნატრიუმის ქლორიდი სუფთა, წყალში გახსნილი ან გაუხსნელი, ან შეწებების შემაფერხებელი (ან ფხვიერობის უზრუნველმყოფი) აგენტების დანამატების შემცველი; ზღვის წყალი(2501)
გოგირდი ყველა სახის, სუბლიმირებული, დალექილი და კოლოიდური გოგირდის გარდა (2503)
გრაფიტი ბუნებრივი (2504)
ქვიშა ბუნებრივი, ყველა სახის, შეღებილი და შეუღებავი, 26

ჯგუფის ლითონიანი ქვიშების გარდა (2505)
კვარცი (ბუნებრივი ქვიშის გარდა), კვარციტი უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი ან სხვა საშუალებით დაყოფილი მართკუთხა ფორმის (კვადრატულის ჩათვლით) ბლოკებად ან ფილებად (2506)
კაოლინი და თიხები კაოლინური, დანარჩენი კალცინირებული ან არაკალცინირებული (2507)
დანარჩენი თიხები (6806 სასაქონლო პოზიციის მფუვანი თიხების გარდა), ანდალუზიტი, კიანიტი, სილიმანიტი, კალცინირებული ან არაკალცინირებული თიხები, მულიტი, შამოტის ან დინასის მიწები (2508)
ცარცი (2509)
კალციუმის ფოსფატები ბუნებრივი, ალუმინკალციუმის ფოსფატები ბუნებრივი და ფოსფატის ცარცი (2510)
ბარიუმის სულფატი ბუნებრივი (ბარიტი), ბარიუმის კარბონატი ბუნებრივი (ვიტერიტი), კალცინირებული ან არაკალცინირებული, 2816 სასაქონლო პოზიციის ბარიუმის ოქსიდის გარდა (2511)
ინფუზორული მიწები კაჟიანი (მაგალითად, კიზელგური, ტრეპელი და დიატომიტი) და ანალოგიური კაჟიანი მიწები, კალცინირებული ან არაკალცინირებული, 1 ან ნაკლები ხვედრითი წონით (2512)
პემზა, ზუმფარა, კორუნდი ბუნებრივი, ძოწი ბუნებრივი და დანარჩენი ბუნებრივი აბრაზიული მასალები, თერმულად დამუშავებული ან დაუმუშავებელი (2513)
ფიქალი, უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი, ან სხვა წესით დაყოფილი

მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ბლოკებად ან ფილებად (2514)
მარმარილო, ტრავერტინი, ანუ კირქვიანი ტუფი, ეკაუსინი და დანარჩენი კირქვები ძეგლების ან მშენებლობისათვის, 2,5 ან მეტი ხვედრითი წონით და ალებასტრი, უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი, ან სხვა წესით დაყოფილი მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ბლოკებად ან ფილებად (2515)
გრანიტი, პორფირი, ბაზალტი, ქვიშაქვა და ქვა ძეგლების ან მშენებლობისათვის, დანარჩენი, უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი, ან სხვა წესით დაყოფილი მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ბლოკებად ან ფილებად (2516)
დოლომიტი, კალცინირებული ან არაკალცინირებული, შეცხობილი ან შეუცხობელი, უხეშად დამსხვრეული ან დახერხილი, ან სხვა წესით დაყოფილი ბლოკებად ან მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ფილებად, დოლომატის სატენი ნარევი (2518)
მაგნიუმის ბუნებრივი კარბონატი (მაგნეზიტი), მაგნეზია გამდნარი, მაგნეზია გადამწვარი (აგლომერირებული), აგლომერაციამდელი, წინ დამატებული მცირე რაოდენობის სხვა ოქსიდების შემცველობით ან მათ გარეშე, მაგნიუმის სხვა ოქსიდები, მინარევებით ან მინარევების გარეშე (2519)
თაბაშირი, ანჰიდრიტი, ბათქაში (წარმოდგენილი კალცინირებული თაბაშირის ან კალციუმის სულფატის სახით), შეუღებავი ან შეღებილი, მცირე რაოდენობის დამაჩქარებლების ან შემანელებლების შემცველობით ან მათ გარეშე (2520)

კირქვის ფლუსი, კირქვა ან სხვა კირის შემცველი ქვა, გამოსაყენებელი კირის ან ცემენტის დასამზადებლად (2521)
კირი ჩაუმქრალი, ჩამქრალი და ჰიდრავლიკური, 2825 სასაქონლო პოზიციაში მითითებული კალციუმის ოქსიდისა და ჰიდროქსიდის გარდა (2522)
პორტლანდცემენტი, ცემენტი თიხამიწოვანი, ცემენტი წიდისა, ცემენტი სუპერსულფატიანი და ანალოგიური ჰიდრავლიკური ცემენტები, შეღებილი ან შეუღებავი, მზა ან კლინკერების ფორმით (2523)
აზბესტი (2524)
ქარსი, მათ შორის, განშრევებული, ქარსის ნარჩენები (2525)
სტეატიტი ბუნებრივი, უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი, ან სხვა წესით დაყოფილი ბლოკებად ან მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ფილებად, ტალკი (2526)
ბორატები ბუნებრივი და მათი კონცენტრატები (კალცინირებული ან არაკალცინირებული), ბუნებრივი მარილწყლიდან გამოყოფილი ბორატების გარდა, ბორის მჟავა ბუნებრივი, H3BO3-ის შემცველობით მშრალ პროდუქტზე გადაანგარიშებით არა უმეტეს 85 მას.%-ისა (2528).“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**